სსიპ სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

21 / მარტი / 2025 წ.

KA021796299269225

№ **1/1-1535**

ბრძანება

სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სოფელ დიდ ჯიხაიშში, ნიკო ნიკოლაძის ქუჩა N160-ში მდებარე 555.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული N1 შენობა-ნაგებობის ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით პრივატიზების შესახებ

”სახელმწიფო ქონების შესახებ” საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის, „სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო/სარეალიზაციო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო თანხის/საწყისი სარეალიზაციო საფასურის, სარგებლობაში გადაცემის საფასურისა და საწყისი სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის №570 დადგენილების, „სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის №1-1/172 ბრძანებით დამტკიცებული წესის, სსიპ ”სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ანაზღაურებისა და ამონაგები თანხის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №393 დადგენილების, სსიპ ”სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №391 დადგენილებისა და სსიპ ”სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის” უფლებამოსილების მინიჭების შესახებ” საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №1-1/1835 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სოფელ დიდ ჯიხაიშში, ნიკო ნიკოლაძის ქუჩა N160-ში მდებარე 555.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული N1 შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი N34.02.48.516) პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით, ხოლო საწყისი საპრივატიზებო თანხა განისაზღვროს 21 500 ლარის ოდენობით.

2. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბე-ს ოდენობა განისაზღვროს 6450 ლარით, ხოლო სავაჭრო ბიჯის ოდენობა 500 ლარით.

3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების საპრივატიზებო პირობებად განისაზღვროს:

ა) საპრივატიზებო თანხის გადახდა ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღის ვადაში;

ბ) შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან, არაუმეტეს 6 (ექვსი) თვის ვადაში, პირადად ან მესამე პირის მეშვეობით, ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე არსებულ შენობა-ნაგებობაზე სამშენებლო/სარეკონსტრუქციო/სარემონტო სამუშაოების (რაც უნდა მოიცავდეს (მაგრამ შესაძლოა არ შემოიფარგლებოდეს) ამავე შენობა-ნაგებობის გარე ფასადის სარემონტო/ მოპირკეთებით სამუშაოებს) განხორციელება და შესაბამისი შენობა-ნაგებობის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით ექსპლუატაციაში მიღება (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) ან ამავე შენობა-

ნაგებობის დემონტაჟის განხორციელება და ნარჩენების ტერიტორიიდან გატანა, შესაბამისი კომპეტენტური ორგანო(ები)ს თანხმობით.

4. დამტკიცდეს საინფორმაციო საშუალებებში განსათავსებელი აუქციონის ჩატარების შესახებ განცხადება (თან ერთვის) და დაევალოს პრივატიზების დეპარტამენტს შესაბამისი განცხადების გამოქვეყნება კანონით დადგენილი წესით.

5. საპრივატიზებო ქონება განისაზღვროს სახელმწიფო მნიშვნელობის ქონებად.

6. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შეიძლება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64) კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ირაკლი შენგელია